

სახელი, გვარი, ტელეფონი .....

სკოლა .....

ამოცანები, რომლებიც 2 ბალით ფასდება



1) რა უნდა ეხატოს ცარიელ უჯრაში?



2) რამდენი ვარსკვლავია მოცემულ ნახატზე?



- 1) ორი      2) ოთხი      3) ექვსი      4) რვა

3) ქვემოთ მოცემული რამდენი უტოლობაა არასწორი?

- 7 > 6      12 > 11      14 < 17      19 > 20


- 1) ერთი      2) ორი      3) სამი      4) ოთხი

4) რა რიცხვი უნდა გამოვაკლოთ 11-ს, რომ მივიღოთ 9?

- 1) ერთი      2) ორი      3) სამი      4) ოთხი

5) ქვემოთ ჩამოთვლილი ფიგურებიდან რომელი არ არის ნახატში გამოყენებული?

- 1) სამკუთხედი      2) ოთხკუთხედი  
3) წრე      4) ხუთკუთხედი



ამოცანები, რომლებიც 3 ბალით ფასდება



6) ქვემოთ მოცემული მაგალითებიდან რომლის პასუხია დანარჩენების პასუხებისგან განსხვავებული?

- 1)  $3 + 5 =$       2)  $4 + 4 =$       3)  $9 - 1 =$       4)  $8 + 8 =$

7) რას უდრის ქვემოთ მოცემული გამოსახულების პასუხი?

$$5 + 6 + 7 - 8 = ?$$

- 1) 18-ს      2) 11-ს      3) 10-ს      4) 0-ს

8) კარტოფილის ღვეზელი 8 თეთრი ღირს, ხორცის ღვეზელი კი – 9 თეთრი. რამდენი უნდა გადავიხადოთ, თუ შევიძენთ კარტოფილის და ხორცის თითო-თითო ღვეზელს?

- 1) 18 თეთრი      2) 17 თეთრი      3) 16 თეთრი      4) 15 თეთრი

9) კოტეშ ტყეში 7 სოკო იპოვა, გიორგიმ – 2-ით მეტი, ნოდარმა კი – იმდენი, რამდენიც გიორგიმ. რამდენი სოკო იპოვა ნოდარმა?

- 1) 2 სოკო      2) 7 სოკო      3) 9 სოკო      4) 18 სოკო

10) თორმეტის მომდევნო რიცხვი რამდენით მეტია 10-ზე?


- 1) ერთით      2) ორით      3) სამით      4) ოთხით

ამოცანები, რომლებიც 5 ბალით ფასდება



11) რამდენი სამკუთხედია გამოსახული მოცემულ ნახაზზე?

- 1) ერთი      2) ორი      3) სამი      4) ოთხი



12) ნანულის სამი ცალი ორლარიანი აქვს. რამდენი ლარი აქვს ნანულს?

- 1) 2 ლარი      2) 3 ლარი      3) 5 ლარი      4) 6 ლარი

13) ექვსისა და ორის ჯამი უფრო მეტია, თუ ცხრისა და ერთის სხვაობა?

- 1) ექვსისა და ორის ჯამი      2) ცხრისა და ერთის სხვაობა  
3) ტოლია      4) ამის გაგება შეუძლებელია

14) თუ გამოვიანგარიშებთ ქვემოთ მოცემულ მაგალითებს, რომლის პასუხი იქნება 7-ზე მეტი?

- 1)  $7 + 0 =$       2)  $3 + 2 + 1 =$       3)  $3 + 1 + 1 + 1 + 1 =$       4)  $5 + 3 =$

15) საქათმეში 15 ქათამია. მათგან 13 დედალია დანარჩენი კი მამლები არიან. რამდენი მამალია საქათმეში?

- 1) ერთი      2) ორი      3) ცამეტი      4) თოთხმეტი

ამოცანები, რომლებიც 7 ბალით ფასდება



16) გლეხმა ორი კვირა ხეხილის ბაღის დაბარვას მოანდომა, შემდეგ სამი დღე ყანას თოხნიდა, ამის შემდეგ ერთი კვირა ვაზს წამლავედა. სულ რამდენი დღე იმუშავა გლეხმა?

- 1) 6 დღე      2) 18 დღე      3) 21 დღე      4) 24 დღე

17) ნატომ ჩაიფიქრა რიცხვი, რომელიც ოცზე ექვსით ნაკლებია. რას მივიღებთ, თუ გავანახევრებთ ნატოს მიერ ჩაფიქრებულ რიცხვს?

1) 7-ს

2) 10-ს

3) 13-ს

4) 14-ს

18) გელამ 4 ცალი ორლარიანი რვეული იყიდა. რამდენი ლარი ეკუთვნის ხურდა მას 20 ლარიდან?

1) 18 ლარი

2) 16 ლარი

3) 14 ლარი

4) 12 ლარი

19) ავტობუსში 19 მგზავრი იჯდა. პირველ გაჩერებაზე 1 მგზავრი ჩავიდა და არც ერთი მგზავრი არ ამოსულა. მეორე გაჩერებაზე 2 მგზავრი ჩავიდა, 3 კი ამოვიდა. რამდენი მგზავრია ახლა ავტობუსში?

1) 16

2) 18

3) 19

4) 20

ამოცანები, რომლებიც 8 ბალით ფასდება



20) ბესოს 10 ლარი ჰქონდა, მან ორი ცალი სამლარიანი ნაყინი იყიდა. რამდენი ლარით ნაკლები აქვს ბესოს ახლა?

1) 3 ლარით

2) 4 ლარით

3) 6 ლარით

4) 7 ლარით

21) ეზოში 3 ცალი სამფეხა და 2 ცალი ოთხფეხა სკამი დგას. რამდენი ფეხი აქვს ყველა სკამს ერთად?

1) 5 ფეხი

2) 7 ფეხი

3) 13 ფეხი

4) 17 ფეხი

22) ნათიამ ჩაიფიქრა რიცხვი, რომელსაც იმდენი აკლია ოცამდე, რამდენითაც თორმეტი მეტია რვაზე. რა რიცხვი ჩაიფიქრა ნათიამ?

1) ოთხი

2) თორმეტი

3) თექვსმეტი

4) ოცი

23) კლასში 7 გოგონა და 2-ით მეტი ბიჭი იყო. გოგონების რაოდენობა 3-ით გაიზარდა. ახლა გოგონები უფრო მეტნი არიან, თუ ბიჭები და რამდენით?

1) ბიჭები 5-ით

2) ბიჭები 1-ით

3) გოგონები 3-ით

4) გოგონები 1-ით

ამოცანები, რომლებიც 10 ბალით ფასდება



24) ნინოს და მაიას მწვანე და წითელი კაბები აქვთ. რომელს რომელი ფერის კაბა აქვს უცნობია, მაგრამ ცნობილია, რომ ნინოს არ აქვს წითელი კაბა. რა ფერის კაბა აქვს მაიას?

1) მწვანე

2) წითელი

3) ლურჯი

4) ამის გაგება შეუძლებელია

25) სამი რიცხვის ჯამია 10. პირველი და მესამე შესაკრებების ჯამია 8. რას უდრის მეორე შესაკრები.

1) ერთს

2) ორს

3) სამს

4) ოთხს

26) მაღაზიაში ქუდი 16 ლარი ღირდა, ხელთათმანები კი – 14 ლარი. საახალწლო ფასდაკლებაზე ქუდის ფასი განახევრდა. რამდენი ლარით უნდა დაიკლოს ხელთათმანების ფასმა, რომ იგი იმდენივე ღირდეს, რამდენიც ფასდაკლების შემდეგ ღირს ქუდი?

- 1) 1 ლარით      2) 5 ლარით      3) 6 ლარით      4) 7 ლარით

27) ერთი სოსისი და ორი პური ერთად 18 თეთრი ღირს. ორი პური ერთად 8 თეთრი ღირს. რა ღირს ერთი სოსისი?

- 1) 14 თეთრი      2) 10 თეთრი      3) 8 თეთრი      4) 2 თეთრი

28) კატოს მხოლოდ 20 ლარი ჰქონდა. მან ამ ფულით ბურთი იყიდა. ამის შემდეგ მას ათლარიანი და ხუთლარიანი დარჩა. რა ღირს ბურთი?

- 1) 15 ლარი      2) 10 ლარი      3) 5 ლარი      4) ამის გაგება შეუძლებელია

29) ნათია მომავალ წელს 8 წლის გახდება. რამდენი წლის იყო ნათია ერთი წლის წინ?

- 1) 9 წლის      2) 7 წლის      3) 6 წლის      4) 5 წლის

30) თემოს 12 შუშუნა ჰქონდა. მან 2 შუშუნა პატარა ძმას მისცა, დარჩენილის ნახევარი კი უფროს დას მისცა. რამდენი შუშუნა დარჩა თემოს?

- 1) ერთი      2) ორი      3) ხუთი      4) ექვსი

31) ცარიელი კასრის ბოლომდე გავსებას 8 ვედრო წყალი სჭირდება. რამდენი ვედრო წყალია საჭირო ნახევრადსავსე კასრის ბოლომდე გასავსებად?

- 1) 1 ვედრო      2) 2 ვედრო      3) 3 ვედრო      4) 4 ვედრო

32) თუ ლაშა შეიძენს სამ ცალ ხუთლარიან შოკოლადს, მაშინ მას 2 ლარი დარჩება. რამდენი ლარი აქვს ლაშას?

- 1) 17 ლარი      2) 15 ლარი      3) 13 ლარი      4) 7 ლარი

მონიშნე შენთვის სასურველი პრიზი!  
(შეგიძლია მონიშნო მხოლოდ ერთი პრიზი)



\_\_\_



\_\_\_



\_\_\_



\_\_\_



\_\_\_



\_\_\_



\_\_\_



\_\_\_



\_\_\_